ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.03.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/23

შეკითხვა:

ადვოკატი და კლიენტი შეთანხმდნენ, საქმის სააპელაციო წესით წარმოებაზე, თავის მხრივ ადვოკატმა კლიენტს განუმარტა საქმის წარმატებით დასრულების დაბალი შანსები. ადვოკატმა აიღო ჰონორარი და სასმართლოში შეიტანა სააპელაციო საჩივარი. სასამართლომ საქმე, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა და არ დააკმაყოფილა მომჩივანის მოთხოვნა. კლიენტი გამოთქვამს პრეტენზიას, რომ ადვოკატმა სასმართლოში საქმე ბოლომდე არ აწარმოა, კერძოდ კლიენტი მიიჩნევს, რომ რადგან, სამართლოში არ ჩატარებულა საქმის მოსმენა და ადვოკატს კლიენტის ინტერესები სასმართლოში ზეპირსიტყვიერად არ წარუდგენია, მან სრულად არ განახორციელა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები და ეკისრება თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება. არის თუ არა ადვოკატი ვალდებული დაუბრუნოს კლიენტს ჰონორარი ან მისი ნაწილი?

ანალიზი:

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის, მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი).

„კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს...“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე 057/17, პარ. 5.10).

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით ადვოკატს ეკისრება ვალდებულება კლიენტს დაუბრუნოს გამოუმუშავებელი ჰონორარი - წინასწარ გადახდილი თანხის ის ნაწილი, რომელიც საადვოკატო მომსახურეობის შეწყვეტის შემდეგ, საადვოკატო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად განუხორციელებლობის შემთხვევაში წარმოიშობა. კონკრეტულ შემთხვევაში კლიენტი და ადვოკატი შეთანხმდნენ საქმის საპელაციო წესით წარმოებაზე, ადვოკატმა შეადგინა სააპელაციო საჩივარი და განსახილველად შეიტანა სასმართლოში, სასმართლომ საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა. ადვოკატმა სრულად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და საქმე სააპელაციო სასმატრთლოში სრულად აწარმოვა. რაც შეეხება კლიენტის უკმაყოფილებას, სასურველი შედეგის მიუღწევლობისასთან და სასმართლოს მიერ საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვასთან დაკავშირებით, კომისია განმარტავს, რომ თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან წარმოშობილი საქმისწარმოების რისკები, ყოველთვის არ იძლევა სასურველი შედეგის მიღწევის შესაძლებლობას. ამასთან, სასმართლოს უფლებამოსილება, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს საქმე, გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობიდან და აღნიშნული ადვოკატის მიერ თავისი ვალდებულების სრულად განუხორციელებლობად ვერ მიიჩნევა, შესაბამისად ადვოკატს არ ეკისრება აღებული ჰონორარის ან მისი ნაწილის უკან დაბრუნების ვალდებულება.

დასკვნა:

კითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური გარემოების თანახმად, ადვოკატს არ ეკისრება არებული ჰონორარის ან მისი ნაწილის უკან დაბრუნების ვალდებულება, რადგან მან საქმე, სააპელაციო სასმართლოში, შეთანხმებისამებრ სრულად აწარმოვა.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.